საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2011 წლის 25 მაისის
დადგენილება № 454

სტუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების
მოდიფიცირების შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

ზოგიერთი არსებულისა და 2011-2012 სასწავლო წლიდან განსახორციელებელ აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირების მიზნით, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2008 წლის 21 თებერვლის №16 დადგენილებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო პროგრამების კორექტირების წესის“ თანახმად:

1. შევიდეს ცვლილებები: ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაში „სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობა“ და მას დაემატოს სამი მოდული ა) ,,სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია და მართვა“, ბ) ,,კომპიუტერული დაპროექტების სისტემები მშენებლობაში“ და გ) ,,სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია“.

საფუძველი: სამშენებლო ფაკულტეტის დეკანის ფუნქციის შემსრულებლის მოხსენებითი ბარათი და ამონაწერი ფაკულტეტის საბჭოს სხდომის 2011 წლის 23 თებერვლის №1 ოქმიდან.

2. შევიდეს ცვლილებები:

ა) ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაში ,,აუდიტი“ –5 -კრედიტიანი სასწავლო კურსის „საბაჟო საქმის“ ნაცვლად, მესამე სასწავლო წლის მეორე სემესტრში 5 კრედიტით გათვალისწინებულ იქნეს სასწავლო კურსი „ეკონომიკური ანალიზი“;

ბ) ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაში ,,მენეჯმენტი და ადმინისტრირება” 5- კრედიტიანი სასწავლო კურსის „საბაჟო საქმის“ ნაცვლად, მესამე სასწავლო წლის მეორე სემესტრში 5 კრედიტით გათვალისწინებულ იქნეს სასწავლო კურსი „ოპერაციული მენეჯმენტი“;

გ) ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაში ,,სამართალმცოდნეობა“ მეოთხე სასწავლო წლის პირველ სემესტრში გაუქმდეს 5- კრედიტიანი სასწავლო კურსი „საბაჟო სამართალი“ და ეს 5 კრედიტი დაემატოს 5 -კრედიტიან სასწავლო კურსს „საგადასახადო სამართალი“ და იგი გახდეს 10 კრედიტიანი;

დ) ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაში „ეკონომიკა“ მეოთხე სასწავლო წლის მეორე სემესტრში გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტი „პრაქტიკა“ (5 კრედიტი) შეიცვალოს სასწავლო კურსით „საწარმოს ეკონომიკა“ (5 კრედიტი).

საფუძველი: ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანის ფუნქციის შემსრულებლის მოხსენებითი ბარათი და ფაკულტეტის საბჭოს ამონაწერი 2011 წლის 23 მარტის სხდომის №21 ოქმიდან.

3. შევიდეს ცვლილებები ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაში „კომპოზიციური მასალებისა და ნაკეთობების ტექნოლოგია, ექსპერტიზა, დიზაინი“, 10 - კრედიტიანი სასწავლო კურსი „პოლიმერული კომპოზიციური მასალების ტექნოლოგია“ შეიცვალოს სასწავლო კურსით „ნანობიოსამედიცინო ტექნოლოგიები ჰიპერთერმიაში“, ხოლო 10 -კრედიტიანი სასწავლო კურსი „კომპოზიციური მასალების რადიაციული და კოროზიული მდგრადობა“ შეიცვალოს სასწავლო კურსებით: „პოლიმერული კომპოზიტების ტექნოლოგია და კოროზიული მდგრადობა“ (5 კრედიტი) და „მეტალოკერამიკული ნანოკომპოზიტების მასალათმცოდნეობის საფუძვლები“ (5 კრედიტი).

4. შევიდეს ცვლილებები მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაში „ნანოტექნოლოგიებით მიღებული ბიონანოკერამიკული და მოწინავე კომპოზიციური მასალები კერამიკულ და პოლიმერულ მატრიცაზე“, 5 - კრედიტიანი სასწავლო კურსის „პოლიმერული კომპოზიციური მასალების მასალათმცოდნეობის საფუძვლების“ ნაცვლად, შემოღებულ იქნეს სასწავლო კურსი „ბიონანოკერამიკა და იმუნობიოტექნოლოგია“ – 10 კრედიტით. საჭირო კიდევ 5 კრედიტი მოაკლდეს 15 კრედიტიან სასწავლო კურსს „მოწინავე ტექნოლოგიებით მიღებული მაღალი სისალის მასალები“.

საფუძველი: ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის დეკანის ფუნქციის შემსრულებლის მოხსენებითი ბარათი და ამონაწერი ფაკულტეტის საბჭოს სხდომის 2010 წლის 10 დეკემბრის №17 ოქმიდან.

5. შევიდეს ცვლილებები:

   ა) ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაში „ტელეკომუნიკაცია“ არჩევითი სასწავლო კურსების ნაწილში;

   ბ) მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამას „ტელეკომუნიკაცია“, დაემატოს ერთი მოდული – „სატელეკომუნიკაციო სპექტრის მართვა და რეგულირება“.

საფუძველი: ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის დეკანის ფუნქციის შემსრულებლის მოხსენებითი ბარათი და ამონაწერი ფაკულტეტის საბჭოს სხდომის 2011 წლის 4 აპრილის №2 ოქმიდან.

6. შევიდეს ცვლილებები:

ა) მიმდინარე პროგრამაში „არქიტექტურა და ქალაქგეგმარება“, ტექნიკური უზუსტობის გასწორების მიზნით „არქიტექტურული მასალათმცოდნეობის“ სასწავლო კურსის პროგრამაში (სილაბუსში) საკურსო პროექტის 15 სთ. ნაცვლად, იქნეს პრაქტიკული 15 სთ.

ბ) ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამას „არქიტექტურა და ქალაქგეგმარება“ შეეცვალოს დასახელება და მას ეწოდოს „არქიტექტურა“;

საფუძველი: არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანის ფუნქციის შემსრულებლის მოხსენებითი ბარათი და ამონაწერები ფაკულტეტის საბჭოს სხდომების 2010 წლის 8 დეკემბრის №3 და 2011 წლის 14 აპრილის №5 ოქმებიდან.

7. შევიდეს ცვლილებები ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაში „სამთო და სამარკშეიდერო საქმე“: სასწავლო კურსი ,,საგანგებო სიტუაციების მართვა და შრომის უსაფრთხოება” (6 კრედიტი) გაიყოს ორ ნაწილად –ა) „საგანგებო სიტუაციების მართვა“ (3 კრედიტი) და ბ) „შრომის უსაფრთხოება“(3 კრედიტი).

საფუძველი: სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის დეკანის ფუნქციის შემსრულებლის მოხსენებითი ბარათი და ამონაწერი ფაკულტეტის საბჭოს სხდომის 2011 წლის 27 აპრილის №7 ოქმიდან.

დადგენილება ძალაშია 2011-2012 სასწავლო წლიდან.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე	ა. ფრანგიშვილი
აკადემიური საბჭოს მდივანი	გ. სალუქვაძე